

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი

„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში“ ცვლილებების შეტანის შესახებ“

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N8, 25.03.2004, მუხ. 38) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 74-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დროებითი კომისიის უფლებამოსილების ვადას განსაზღვრავს პარლამენტი, მაგრამ არა უმეტეს 3 თვით, გარდა ამ რეგლამენტის 72-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. ამ რეგლამენტის 72-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული კომისიის უფლებამოსილების ვადა შეიძლება გაგრძელდეს დამატებით 3 თვით. დაუშვებელია დროებითი კომისიის შექმნა შესაბამისი მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე 6 თვით ადრე.“.

2. 272-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ რეგლამენტის 149-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან.“.

მუხლი 2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე

დავით ბაქრაძე